ცნობის ფურცელი

№ 2211 კვირა, 19 ივლისი 1896—1903 ყოველ-დღიური გაზეთი № 2211

გაზეთის ფასი: წლიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: უკანასკნელ სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ. ხელის-მოწერა და ცალკე განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-დე საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

მაკრინე როსტომის ასული მეჟევიძისა, პელაგია როსტომის ასული და ლევან იოსების ძე ზოგნიძენი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას: პირველი—საყვარელის ქმრისა, ხოლო უკანასკნელნი—ძვირფასის სიძისა

გიორგი გრიგოლის ძის მეჟევიძისას.

პანაშვიდი 18 ივლისს საღამოს 7 საათზედ მიხეილის საავადმყოფოში; გამოსვენება საავადმყოფოდან დილის 9 საათზედ 19 ივლისს კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზედ. (2—124—2)

ალექსანდრა დიმიტრის ასული ბაქრაძისა და დიმიტრი გრიგოლის ძე ალავიძე გულითადის მწუხარებით აცნობებენ ნათესავთა და ნაცნობთ, გარდაცვალებას პირველი ქმრისა და მეორე—სიძის იასაულ

რომან დავითის ძის ბაქრაძისას.

განსვენებულის გვამს გამოასვენებენ ქუთაისის საავადმყოფოდან წმ. გიორგის სასაფლაოზე კვირას, საღამოს 5 საათზე. (1—6.—1)

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მსურველთათვის დანიშნულია 19 აგვისტოს

გამოსაცდელი წარმოდგენა

ამ წარმოდგენაში მონაწილეობის მიღების მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერონ თეატრის კანტორაში 5 აგვისტომდე ყოველ დღე, დილის 12-დან 1 საათამდე. (3—უ.—1)

ტფილისის კერძო სამკურნალო

კურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დილით:

ნ. ტ. **მულინი**.—ყურისა, ყელისა და ცხვირი 9—10

2. ა. **გედევანიშვილი**.—შინაგანი, ნერვების და წამლობა ელექტრონით 11—1 ს.

ვ. **ხობოლევსკი**—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით 1—2 საათ.

სამკურნალოს აქვს თავისი საწოლი კრავატი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრავატები—სამი მანათიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, სახლი აბრამოვისა, № 9, მიხეილის ქუჩიდან კი 34 Б.

(წლ. ტელეფონი № 274.

ე ქ ი მ ი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა № 24 სახლი აჩნაძისა. (წლ.)

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა

აცხადებს

თარგმნელთა საყურადღებოდ:

გასამრჯელო მთარგმნელებს მიეცემათ მხოლოდ იმ პიესების თარგმანში, რომელიც წინადვე გადასათარგმნელად გამგეობის მიერ მოწონებული იქნება. მსურველთ შეუძლიანთ წარუდგინონ გამგეობას სათარგმნელად არჩეული პიესა და, თუ გამგეობამ მოიწონა, მთარგმნელს, გადათარგმნის შემდეგ, გასამრჯელო მიეცემა, თუნდაც პიესა დამდეგ სეზონში ვერ დაიდგას სცენაზე. (5—უ.—1)

დოქტორი მედიცინისა

ი. ინაშვილი

მიიღებს შინაგან, ნერვებით და სახავშვო სნეულებით ავადმყოფებს. დილით 10—12 საათ., საღ. 5—7 საათ.

რეუტოვის ქუჩა, № 6.

(10—124—6)

მთავრობის განცხადება

„კავკაზ"-ში დაბეჭდილია:

„14 ივლისს სადგურ ხაშურის (მიხაილოვის) დეპოს ხელოსნებმა, ნიშნის შემდეგ, მუშაობას თავი მიანებეს და ნავთის მილის მუშებთან ერთად შეაჩერეს ტფილისიდან მომავალი საქონლის მატარებელი, ჩამოათრიეს მაშინისტი და კაჩეგარი, მოაშორეს ორთქლმავალი ვაგონებს და, ამ რიგად, ლიანდაგზე მატარებელი შეაჩერეს. შემდეგ მუშები სადგურისაკენ წავიდნენ და იქ ტელეგრაფის სადგომსა და საქონლის კანტორაში მოსამსახურეთ გამოუცხადეს, მუშაობას თავი გაანებეთო, თანაც სცდილობდნენ, მუქარით ხელი აეღებინებინათ მუშაობაზე. დააკეტინეს ბაზარში სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებანი და ხალხმა, რიცხვით 500 კაცმა, თავი მოიყარა რკინის გზის ხიდთან, იქ, სადაც სურამისა და ბორჯომის შტოები შორდებიან ერთმანეთს. ბორჯომიდან მომავალი სახალხო მატარებელი გაჩერდა, რადგან შეკრებილმა ხალხმა გზა გადაუღობა. რკინის გზის აგენტებისა, პოლიციის ბოქაულისა და ჟანდარმების მუქარისა და მოთხოვნილებას ხალხმა ყურადღება არ მიაქცია და სურამიდან დაბარებულ ადგილობრივ კამანდას, რიცხვით 40 ჯარის-კაცს, ქვები დაუშინა და მოისურვა თოფების წართმევა. მაშინ ამ ჯარმა და იქვე მყოფმა საპოლიციო დარაჯებმა თოფების სროლა დაიწყეს. მოკლული აღმოჩნდა ექვსი კაცი, დაჭრილი ოცი; ამათგან ოთხი გარდაიცვალა. ამის შემდეგ ხალხი დაიშალა და წესიერება აღდგენილ იქმნა".

საზღვარ-გარედ

ინგლისი. ამას წინად „ტაიმს"-მა დასწერა,—პარლამენტს მომავალ წლის დამდეგს დაითხოვენ და საზოგადო არჩევანს მომავალ მარტში მოახდენენო. ეხლა სხვა გაზეთებიც ამასვე სწერენ. მთავრობის მომხრე „სტანდარდ"-ი სწერს:

„როდის დაითხოვენ პარლამენტს, ეს ნამდვილად არავინ იცის, მაგრამ ბოლოს დროს ყველა დარწმუნდა, რომ მთავრობა მომავალ წლის დამდეგს მაინც იძულებული გახდება ხალხს დაეკითხოს, ესე იგი ახალი არჩევანი დანიშნოს. საფინანსო მდგომარეობის გამოკვლევასა და განხილვას შემოდგომამდე მოუნდებიან. როცა მინისტრები იანვარში, სესიის გახსნამდე შეიკრიბებიან, პირველი იმათი საქმე იქნება, გადასწყვიტონ, ჩემბერლენის პოლიტიკას მიუდგნენ, თუ არა, და თუ ვინიცობაა ჩემბერლენს მიემხრობიან, მაშინ ისიც უნდა გადასწყვიტონ, რანაირად უნდა აასრულონ კოლონიების მინისტრის პოლიტიკა. თუ მინისტრები კოლონიებისათვის შეღავათიან ტარიფის დაწესებას მოინდომებენ, მაშინ ზოგიერთი მინისტრი სამსახურიდან გადადგება და იმათ მაგიერ ახალი მინისტრები დაინიშნებიან. განახლებული კაბინეტი პარლამენტს წარუდგება, თავის პროგრამას გააცნობს და პარლამენტს დაითხოვს. მაგრამ დეპუტატები მომეტებულ ნაწილად სხვა აზრისანი არიან: რაკი ხალხი წინააღმდეგია, რომ სასმელ-საჭმელს ბაჟი დაედოს, მთავრობა იძულებული იქნება, ეხლანდელი საფინანსო პოლიტიკა შეუცვლელად დასტოვოსო. ამიტომ კოლონიების მინისტრმა და იმისმა თანამოაზრე მინისტრებმა ორში ერთი უნდა აირჩიონ: ან კაბინეტის დადგენილებას დაემორჩილონ, ან სამსახურიდან გადადგნენო."

ლიბერალური გაზეთი „დაილი ნიუს"-ი ჰფიქრობს, რომ კაბინეტის კრიზისი შეიძლება იანვარზე ადრეც მოხდესო, რადგან ზოგიერთი მინისტრი, ნამეტნავად დევონშირის ჰერცოგი, იმ აზრისანი არიან, რომ ასეთმა არეულ-დარეულობამ უიმისოდაც დიდხანს გასტანაო და საჭიროა მთავრობა, რაც შეიძლება, მალე რაიმე გარკვეულ გზას დაადგესო. გაზეთი ჰფიქრობს, რომ კაბინეტი იძულებული იქნება, იანვარზე ადრე მოიშოროს ჩემბერლენი. თითონ ჩემბერლენი კი დარწმუნებულია, რომ იანვრამდე დარჩება კაბინეტში. მინისტრსა სთხოვეს იანვარში ლონდონის სიტის კრებაზე სიტყვა წარმოსთქვით საფინანსო რეფორმაზეო და მინისტრიც დასთანხმდა.

◆ ამ დღეებში ბირმინჰამის სავაჭრო პალატის საბჭოში კოლონიების მინისტრის ძმამ, არტურ ჩემბერლენმა, თავის ძმის საფინანსო პროექტის წინააღმდეგ ილაპარაკა.

◆ მართალია, ბაჟების დაწესების მოწინააღმდეგენი მხნედ მოქმედებენ, მაგრამ არც თუ პროტექციონისტებს სძინავთ. ჩემბერლენის მომხრეებს ლონდონში „სატარიფო რეფორმის ლიგა" დაუარსებიათ იმ აზრით, რომ ჩემბერლენის აზრები გაავრცელონ ხალხში. ლიგის წევრებში გამოჩენილი ხალხი ცოტა ურევია. იმისი თავმჯდომარე სუტერლანდის ჰერცოგი—ლიბერალ-უნიონისტია. ორიოდე ლიბერალიც ჩაწერილა ლიგის წევრად, მაგრამ ეს სულ საეჭვო ლიბერალები არიან და არც თუ ძლიერ თანაუგრძნობენ ჩემბერლენის საფინანსო პროექტს. ესენი მხოლოდ სხვისა ჩაგონებით ჩაწერილან.

◆ რა-კი პალატამ ირლანდიის საადგილ-მამულო ბილი დაამტკიცა, ირლანდიელებიც თითქმის სულ აღარ დაიარებიან პალატის სხდომებზე და ზოგი სულაც წასულა ლონდონიდან. მაგრამ თუ ლორდთა პალატა შესამჩნევად შესცვლის ბილსა, მაშინ ისევ ყველანი დაბრუნდებიან ლონდონში.

◆ 9 ივლისს დეპუტატთა პალატის შენობაში ნადიმი გამართეს საფრანგეთის დეპუტატებისა და სენატორების პატივსაცემლად. როგორც ვიცით, ეს დეპუტატები და სენატორები საერთაშორისო სამედიატორო სასამართლოს მომხრენი არიან. ნადიმს თითქმის ინგლისის ყველა მინისტრი და ორსავ პალატის 150-მდე წევრი დაესწრო. ნადიმმა მეტად მხიარულად ჩაიარა. ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენელნი ერთმანერთის გვერდზე ისხდნენ. საფრანგეთის წარმომადგენელთა თავმჯდომარე დესტურნელი ბალფურის გვერდზე იჯდა, ბედენი—კემპბელ-ბანერმანერის გვერდზე, ზიგფრიდი—კრანბორნის გვერდზე და ჩემბერლენის პირდაპირ და სხვა.

ჯერ ედუარდ მე-VII-ისა და ლუბეს სადღეგრძელოები დალიეს; მერე წამოდგა დესტურნელი და ინგლისურ ენაზე სიტყვა წარმოსთქვა. ორატორმა სამედიატორო სასამართლოზე ილაპარაკა და შემდეგი სთქვა:

„სამედიატორო ხელშეკრულობის გარკვეულ პროექტს როდი ვიძლევით, არც ისა გვწადიან, რომ მთავრობას რაიმე უფლება წავართვათ, მაგრამ იმედი გვაქვს, რომ პარიზსა და ლონდონში გამართულ დღესასწაულებს შედეგად საფრანგეთისა და ინგლისის მტკიცე შეთანხმება მოჰყვება".

ამის შემდეგ ბალფურმა ილაპარაკა. ინგლისის პირველმა მინისტრმა სთქვა: დარწმუნებული ვარ, რომ სამედიატორო სასამართლოს ყოველთვის შეუძლიან მორიგებით გაათავოს ინგლისსა და საფრანგეთ შუა ატეხილი დავა, რადგან ამ სახელმწიფოებს ისეთი დიდი და ძნელი გადასაწყვეტი დავა არა აქვთ-რაო. ბოლოს ბალფური დაჰპირდათ, ინგლისის მთავრობა ყოველ დახმარებას აღმოუჩენს ამ მეტად სასარგებლო საქმის ასრულებასაო.

ბალფურის შემდეგ კემპბელ-ბანერმანმა ილაპარაკა ფრანგულ ენაზე. ინგლისის ოპოზიციის მეთაურმა სთქვა: დიდად მოხარული ვარ, რომ ინგლისისა და საფრანგეთის პარლამენტები ასე დაუახლოვდნენ ერთმანერთს. საფრანგეთის წარმომადგენელნი ამ დარბაზში ინგლისის ყველა პარტიისა და ხარისხის წარმომადგენელსა ჰხედვენო. როცა კემპბელ-ბანერმანმა გაათავა, ყველა მხარეს დაიძახეს, „ახლა ჩემბერლენმა ილაპარაკოსო". კოლონიების მინისტრი წამოდგა და თანაგრძნობა გამოუცხადა სამედიატორო სასამართლოს. ნადიმის ბოლოს ლანესანმა დეპუტატთა და ლორდთა პალატის სადღეგრძელო წარმოსთქვა.

საფრანგეთი. საფრანგეთის მთავრობამ 1898 წ. 12 ივნისს გამოცემული კანონი შრომის მფარველობის შესახებ შესცვალა და შეავსო. შეცვლილი და ჩამატებული მუხლები ეხლა „ჟურნალ ოფისიელ"-ში გამოაცხადეს. წინად კანონი მშრომელ ხალხის მფარველობის შესახებ მარტო დიდ სამრეწველო საქმეებს შეეხებოდა, ეხლა-კი სამზარეულოები, სარდაფები, წვრილმანი საქმეებიც, მაგალ. დუქნები, ლაბორატორიები, ბიუროები და სხვა ამისთანეებიც ამ კანონს ექვემდებარებიან. ამას გარდა შეცვლილ კანონში მკაფიოდაა ნათქვამი, რომ ყველა საქმე, გინდ სახელმწიფო იყოს, გინდ კერძო, საერო, გინდ სარწმუნოებრივი, სავაჭრო, გინდ საქველ-მოქმედო, ყველა ამ კანონს ემორჩილებაო. ყველა ამ საქმეს საფაბრიკო ინსპექტორმა უნდა ადევნოს თვალყურიო. მხოლოდ საზღვაო და სამხედრო სამინისტროს დაწესებულებანი და ქარხნები არ ემორჩილებიან საფაბრიკო ინსპექციას. საზღვაო და სამხედრო უწყების მშრომელ ხალხს ამავე უწყებათა საგანგებო აგენტებმა უნდა გაუწიონ მფარველობა. საფაბრიკო ინსპექტორებს ებძანათ, ყველა ქარხნები დაათვალიერეთ, მუშების მდგომარეობა გაიცანით და ყველას ბეჯითად ურჩიეთ, რომ ქარხნებში ყოველი სანიტარული მოთხოვნილება შეასრულონო.

გერმანია. მთავრობა კოოპერატიულ ამხანაგობათა და მუშების საზოგადოებათა დახმარებით უსაქმოდ დარჩენილ ხალხის მდგომარეობას იკვლევს. აქამდე უსაქმო მუშების მდგომარეობა რიგზე სტატისტიკურად ჯერ არა ყოფილა გამოკვლეული; ეხლა კი საფუძვლიანად გამოკვლევას შეუდგნენ. მუშების ორგანიზაციები შეატყობინებენ საიმპერიო სტატისტიკურ ბიუროებს, თუ რამდენი მუშაა უსაქმოდ დარჩენილი. მუშების ორგანიზაციებმა კარგად იციან უსაქმო ხალხის რიცხვი, რადგან უსაქმოდ დარჩენილ ხალხს სახარჯოს აძლევენ თავიანთ კასიდან. ამას

გარდა სამ თვეში ერთხელ მუშების ორგანიზაციები რაც კი ცნობა აქვთ უსაქმო ხალხზე, ყველას იმავ ბიუროებს წარუდგენენ. ამ გამოკვლევის შედეგი ოფიციალურ გამოცემებში დაიბეჭდება. გერმანიაში დიდი ხანია ლაპარაკი აქვთ, რომ მუშების უსაქმობისაგან დაზღევა შემოიღონ. ეს გამოკვლევა და ეს ცნობებიც ამ საქმისათვის საჭიროა მთავრობას, რადგანაც უსაქმო მუშების რიცხვი და მდგომარეობა რიგზე არა ჰქონდა შესწავლილი. ეხლა კი მუშების ორგანიზაციების შემწეობით ეს საქმე საფუძვლიანად იქნება შესწავლილი და გამოკვლეული.

იტალია. პაპის ლეონ მე-XIII-ის გარდაცვალების გამო, უცხოეთის გაზეთები ბევრსა სწერენ პაპის ფინანსებზე. სწორე, უტყუარი ცნობები პაპის შემოსავალ-გასავალზე თურმე არაა. არა იციან აგრეთვე, რამდენი თანხა აქვს ამ ჟამად წმ. პეტრეს ტახტსა და რამდენად მართალია ის ხმა, ვითომ ეს თანხა სხვა-და სხვა საზარალო სპეკულიაციებმა ძლიერ შეამცირესო. პაპიმ პიუს მე IX თავის მოადგილეს 50 მილ. ლირა დაუტოვა. ამ თანხის სარგებლის გარდა, რომის პაპს ბევრი შეწირულობა მისდის მორწმუნე ხალხისაგან. პაპს წელიწადში დაახლოვებით 7½ მილ. ლირა შემოსავალი აქვს და ეს ფული ძლივს ჰყოფნის ყველა ხარჯის გასასტუმრებლად. ამ ფულიდან სხვა და-სხვა კონგრეგაციებს, ღარიბ ეპარქიებს, სკოლებს, სურათების გალერეიებს და მუზეებს ეძლევათ შემწეობა, ღარიბ ხალხს მოწყალება ურიგდება და სხვ. თითონ პაპს მარტო 500,000 ლირა რჩება. ამ ფულით პაპი თავის სასახლეს ინახავს, სხვა-და-სხვა არისტოკრატიულ გვარებს შემწეობას აძლევს, საჩუქრებს არიგებს და სხვა, ასე რომ საკუთრივ პაპს შედარებით ძლიერ ცოტა რჩება. ყველაზე მეტი ხარჯი პაპის სასახლესა და „პაპის სახლობაზე“ მიდის. „პაპის სახლობას“ შეადგენს 2,656 სამღვდელო პირი და 517 საერო; მოსამსახურე და მზარეული კიდევ სხვაა.

ავსტრო-უნგრეთი. ხორვატიაში კიდევ ცდილობენ სხვა-და-სხვა საზოგადოებრივ, თუ კერძო შენობის დინამიტით ააფეთქებას. პოლიციამ კიდევ ბევრგან იპოვა დინამიტის პატრონა ზაგრებში ბევრი სახლი გასჩხრიკეს, რამდენიმე კაცი დაიჭირეს, მაგრამ დამნაშავენი ვერ იპოვეს.

ახალი ამბავი

◆ აგვისტოს პირველ რიცხვებში, როგორც ბაქოს გაზეთებს გაუგიათ, **პეტერბურგიდან ბაქოში ჩავა შინაგან საქმეთა მინისტრის** ამხანაგი გენერალ-ლეიტენანტი ფონ-ვალი.

◆ **დიდი უბედურება მოხდა რკინის გზაზე** ალსტაფისა და შაქარლის სადგურებს შუა: საქონლის მატარებელი № 151 ლიანდაგიდან გადავარდა და დაიმსხვრა. ალსტაფიდან მატარებელი ღამის 11½ საათზე გავიდა. სულ მატარებელში 25 დატვირთული ვაგონი იყო. გასცდა თუ არა მატარებელი სადგურს, უეცრად ორთქლ-მავალი ლიანდაგიდან გადავარდა და მიწაში შეიჭრა. 13 ვაგონი თან გადაჰყვა ორთქლ-მავალს. ეს ვაგონები ძალზე დაიმსხვრა. ძალიან დაშავდა: მასწავლებელი ა. ა. კორენევსკი, ბაქოს გუბერნიის მცხოვრები აპრაპეტ არუთინოვი, ტფილისის მოქალაქე ვასილ ბელოკონევი და კონდუქტორი აგაგეი ლოლინი. დამტვრეულ ვაგონებს ქვეშ უნახავთ გაჭყლეტილი კაცის გვამი. არ იციან, სხვაც არის მოკლული თუ არა. გუშინვე შეუდგნენ ლიანდაგის გაწმენდას და გვამების ძებნას. იმავე დღეს ტფილისიდან ალსტაფაში წავიდა მატარებელი, რომელშიაც იყვნენ გზის უფროსნი, ექიმები, ფერშლები. დაშავებულთ ჭრილობანი შეუხვიეს და ტფილისის საავადმყოფოში გამოჰგზავნეს. ერთი დაშავებული გზაში გარდაიცვალა როგორც გამოირკვა, გზა განგებ ყოფილა გაფუჭებული: იმ ადგილას, სადაც უბედურება მოხდა, ვიღაცას რელსებისათვის გადასაბმელები აუცლია და ლურსმები აუძვრია.

◆ ამას წინად კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭომ სთხოვა გურია-სამეგრელოს საეპარქიო სკოლების საბჭოს ცნობები ეპარქიის სამრევლო სკოლების შესახებ. საზოგადოებამ ეს ცნობები უკვე მიიღო გუშინ, 18 ივლისს. როგორც ამ ცნობებიდანა სჩანს, **გურია-სამეგრელოს ეპარქიაში არსებობს** 215 სამრევლო საეკლესიო სკოლა, აქედან 206 სოფლადაა და 9 ქალაქად. ქალაქის სკოლებში წასულ წელს სწავლობდა 258 ვაჟი და 377 ქალი, ხოლო სოფლის სკოლებში,—7755 ვაჟი და 2704 ქალი.

◆ **თავ. დ. ზ. მელიქიშვილი დამტკიცებიათ** ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლად.

◆ ტფილისის გუბერნატორმა 1 ივლისიდან უკვე დააწესა **ახალი საპოლიციო ნაწილი** ტფილისში. ამ ნაწილის საზღვარი კარგა დიდი მანძილზე უვლის გარშემო ტფილისს. საზღვარი იწყება ნავთლუღის ბოლოს, წმ. ბარბარეს ეკკლესიასთან, გაივლის ორხევის სადგურსა და სოფელ მამკოდაზე დუშეთის მაზრის საზღვრამდე; ავჭალისა, დიღმისა, წყნეთისა და წავკისის სოფლის საზოგადოებანი ამ ნაწილში შედიან. შემდეგ საზღვარი ხატის-თელეთის სოფელთან ჩაივლის და მტკვართან ჩავა. ეს ახალი ნაწილი ჩაჰბარდა ტფილისის მაზრის უფროსის თანაშემწეს გუგუშვილს.

◆ **ტფილისის ტრამვაის ვაგონებზე** დღევანდლამდე კონდუქტორობას ჯარის-კაცნი ეწევიან. უსახელო საზოგადოების გამგეობა ეხლა შეუდგა თურმე ახალ კონდუქტორების დაქირავებას. ჯერ-ჯერობით მიღებულია 7 კაცი. სულ საჭიროა ასამდე კონდუქტორი, ამდენივე ქუჩერი და რამდენიმე კონტროლიორი. რადგან ამ ჟამად არც კონდუქტორია გამოცდილი და არც ქუჩერი, ხშირად უწესოება და უბედურება ხდება. 11 ივლისს, საღამოს 8 საათზე, მიხეილის ქუჩაზე, საავადმყოფოსთან ქუჩრების გამოუცდელობისა გამო დროზედ ვერ შეაჩერეს ვერც იქიდან და ვერც აქედან მიმავალი ვაგონები, რის გამო ერთმანეთს დაეტაკნენ. კარგია კიდევ, რომ არავინ დაშავებულა. ამ დროს ერთი ეტლი მორბოდა ძალზე. ვაგონიდან ჩამომხტარმა ხალხმა გაქცევა ვერ მოასწრო და ეტლმა ორი ბავშვი ქვეშ მოიტანა. ერთი უვნებელი გადარჩა, მეორე კი დაშავდა.

◆ გუშინ, 18 ივლისს, 3 დღის **მუშაობის შეჩერების შემდეგ** განახლდა მიმოსვლა ცხენის რკინის გზის ვაგონებისა ავჭალის ქუჩაზე.

◆ „ბაქ. იზვ.“-ში ვკითხულობთ: „რადგან ბაქოს, ტფილისისა და ხაშურის **სადგურებზე წესიერების დასაცველად** და სადარაჯოდ ჯარს მთელი დღე უხდება სიცხეში დგომა და რადგან ამ ჯარს არც ღამე აქვს მოსვენება, ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსის შუამდგომლობით აფიცრებსა და ჯარის კაცებს ჯილდო დაენიშნათ: შტაბ-აფიცრებს ეძლევათ თითო დღეში 2 მანეთი, ობერ-აფიცრებს—1 მან. და ჯარის-კაცებს—25 კაპ.

◆ 18 ივლისს კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტმა უგან. თავ. გრუზინსკიმ საზოგადოების სახელით მოხსენება გაუგზავნა პეტერბურგში არსებულ საბჭოს, რომელსაც **სოფლის საჭიროებათა გამორკვევა** აქვს მინდობილი. ეს მოხსენება ადგილობრივ სოფლის საჭიროებებს შეეხება.

◆ როგორც ბაქოს გაზეთები გადმოგვცემენ, 15 ივლისს **მეორედ გაჩენილა ბაქოში ცეცხლი**. წაჰკიდებია ნავთის კოშკებს საბუნჩაში და გადამწვარა 19 კოშკი. საბუნჩას მცხოვრებნი საშინლად შეშინებულან. მთელი ღამე ქალების კივილი და ბავშვების ტირილი გაისმოდა თურმე, ყველას ეშინოდა, სახლებს არ წაჰკიდებოდა ცეცხლი.

◆ „ნოვ. ობ.“-ს ქუთაისიდან სწერენ: „15 ივლისს გუბერნატორი სმაგინი საგანგებო მატარებლით ქუთაისიდან შორაპნის სადგურზე წავიდა. საჭარის ამერიკულ ვაზის სანერგეში **მუშაობა შეჩერებულია**“.

◆ როგორც იმავე გაზეთს ატყობინებენ, **ქუთაისში ნოქრები და მაღაზიის პატრონები** შეთანხმებულან, რომ მუშაობა დილის 8 საათზე იწყებოდეს და საღამოს 8 საათზე თავდებოდეს.

◆ ბაქოში, როგორც ადგილობრივი გაზეთები სწერენ, დეპოს, სახელოსნოებს, საწყობებს, პაკჰაუზებს, ლიანდაგებს, აგრეთვე ვაგონებს **ჯარი სდარაჯობს თურმე**.

◆ მას შემდეგ, რაც ტფილისში მაღაზიები რვა საათზე იკეტება, გოლოვინისა და მიხეილის პროსპექტებზე და ზოგიერთ ქუჩებზე **ძალიან სიბნელეა**. ქალაქის გამგეობამ განიზრახა ამ ქუჩებში ახალი ფარნები დასდგას.

◆ მომავალ წლიდან ტფილისის **ქუჩებსა და მოედნებზე** უნდა გაიმართოს კიდევ 550 ფარანი, რომ ცოტად თუ ბევრად ხეირიანად განათდეს. ამ ფარნების გასაკეთებლად საჭირო ფული უკვე შეაქვთ ქალაქის მომავალი წლის ხარჯთ აღრიცხვაში.

◆ როგორც შევიტყეთ, ტფილისის საბალოსნო სასწავლებლის გამგე პ. გ. ივანოვი **თანამდებობას თავს ანებებს**.

◆ გორის მაზრის სოფელ მეტეხიდან გვატყობინებენ, რომ იქ ძლიერს ქარს გაუფუჭებია მეტეხის ძველ ეკკლესიის გუმბათის ჯვარი და გადაუგდია სახურავი. ამ ეკკლესიის განსაახლებლად სასულიერო მთავრობის ნება-რთვით უნდა შემდგარიყო სამზრუნველო კომიტეტი თუმცა ნება-რთვა დიდი ხანია იყო, მაგრამ დღევანდლამდე კომიტეტი არ შემდგარა.

◆ როგორც კავკასიის მუზეუმის ცნობებიდანა სჩანს, 1901 წლის განმავლობაში მუზეუმი დაუთვალიერებია ფასით 8777 კაცს, ხოლო უფასოდ—2537 კაცს. 1902 წლის განმავლობაში მუზეუმი დაუთვალიერებია ფასით 8045 კაცს და უფასოდ—267[illegible] კაცს.

◆ გორის მაზრის სოფელ თორმანეულიდან გვატყობინებენ, რომ იქ 10 ივლისს გზაზე ვიღაც ბოროტ-განმზრახველნი დასხმიან ცხინვალელ ებრაელებს ძმებს შალომე და რახმ დავარაშვილებს და გაუძარცვავთ. ბოროტ-განმზრახველთ დავარაშვილებისათვის წაურთმევიათ 110 მან. ფულად და 50 მან. სავაჭრო ბოროტ-მოქმედთა ვინაობა არ იციან.

◆ ამ დღეებში გორის მაზრის სოფელ ზემო ხვედურეთში ვიღაც ქურდებს გაუტეხიათ ამ სოფლის ეკკლესია და გაუტანიათ [illegible], ეკკლესიის ნივთები და სამკაული. ამ ბოროტ-მოქმედებაში ეჭვი მიუტანიათ ცხინვალის მცხოვრებ მ. ე. მ—ზე, რომელიც [illegible] გამოტეხილა დანაშაულში.

◆ 17 ივლისს ტფილისის [illegible] დუქნების გამგე კომისიამ დაადგინა, სთხოვოს ქალა-

---

ფელეტონი

კიდევ სტუდენტების შესახებ

I.

„სტუდენტის ხმა“-მ სტუდენტის ხმა გამოიწვია.

„ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების“-ო, გვეუბნება რუსთაველი და მით გვაფრთხილებს: სანამ რაიმეს წარმოსთქვამდე, საჭიროა, საკმაოდ ჩაუკვირდე შენს აზრს, საკმაოდ ასწონ-დასწონო შენი სიტყვებიო. სამწუხაროდ, ყველანი ვერ ითვისებენ ამ მარტივსა და მკაფიოდ გამოთქმულ რჩევას. ვერც პატივცემულ „ოდესელ სტუდენტს“ შეუგნია რუსთველის ზემოხსენებული გაფრთხილება; წინააღმდეგ შემთხვევაში, იმისი „სტუდენტის ხმა“ ამდენად არ იქნებოდა სიმართლეს მოკლებული.

სიმართლისა, რასაკვირველია, არ გვეშინიან. საშიშოა მხოლოდ, როდესაც სიმართლის სახელით საზოგადოებაში ფეხს იკიდებს სუსტ საფუძველზე აშენებული პესიმისტიური შეხედულება. ამგვარია სწორედ წერილი ბ. „ოდესელ სტუდენტი“-სა. ავტორი სტუდენტთა შორის კარგს ვერაფერსა ჰხედავს. ერთ ადგილას სწერს: „თუმცა დღეს ჩვენ ას სტუდენტში ვპოულობთ ხუთსა და მეტს მეცადინს, მაგრამ „გასავალს“ თითქმის ერთიც აღარ გვრჩება ხელშიო*). შემდეგ ბრძანებს, რომ ოდესელ სტუდენტთა დიდ უმრავლესობას წიგნებიც-კი არ მოეპოვებათ სახლშიო. მაგრამ ყველაზე დიდი უბედურება ის არის, რომ ოდესელი ქართველი სტუდენტები სიბარიტები ყოფილან, რომელნიც შვიდ თვეს განცხრომაში არიან და მხოლოდ მაისში იღვიძებენ ასეთ ცხოვრებისაგან. აი თქვენი სიტყვებიც: „ათავებს ქართველი მოსწავლე გიმნაზიას და მიეშურება საუნივერსიტეტო ქალაქში; ახალი ცხოვრება იტაცებს, იგი გაშლილის გულით სუნთქავს ახალ ჰაერს. აქ გასაკვირველი არაფერია, საკვირველი ის არის, რომ როდესაც უკვე სცხოვრობს, როდესაც გიმნაზიის დისციპლინა უკვე დავიწყებასა მიცემული, იგი განაგრძობს სიბარიტულ ცხოვრებას და ასეთ ცხოვრებისაგან იღვიძებს მხოლოდ მაისში, რომ წინ წაჩოჩდეს და შემდეგ ისევ ხელს მიჰყოფს ძველ ცხოვრებას. ასე ემართება ბევრ ჩვენ ახალგაზრდას“.

აი, ამზედ ითქმის სწორედ „ევრიკა“! ბ-ნმა „ოდესელმა სტუდენტმა“ არ გვაკმარა უწიგნობა და დიპლომის თაყვანისმცემლობა (ზემოდ ესეც გვიკიჟინა) და სიბარიტობაც თავზე მოგვახვია.

მაგრამ სად იპოვნეთ, ბ-ნო სტუდენტო, ეგ სიბარიტები? შესაძლოა სტუდენტების სასადილოში, სადაც ქართველი სტუდენტი ნახევრად მშიერია? ან და ქართველ სტუდენტის ოთახში, სადაც ხუთს ნაბიჯს ვერ გადასდგამთ, რომ კედელს არ დაეჯახოთ? ან და შეიძლება სტუდენტების „ობშჩეჟიტიეში“, სადაც ზამთარში, მეცადინეობის დროს, საზამთრო პალტოს საბანი და ყაბალახი უნდა დაურთოთ, რომ სიცივისაგან არ გაიყინოთ? ან იქნება ოდესის მესამე ხარისხოვან რესტორანებში გსურთ მოსძებნოთ ქართველი სიბარიტი? აბა, როგორ არ დაეძახების სიბარიტი იმ ქართველ სტუდენტს, რომელიც დრო-გამოშვებით შევა ამგვარ რესტორანში და (ო, საშინელებავ!) ლუდით დაითვრება! სიბარიტობას, რაღა თქმა უნდა, საკეთილო არა მოჰყვება-რა და ბ-ნი სტუდენტიც განაგრძობს: „ჩვენში არავის არა გვაქვს სურვილი თვალ-ყური ვადევნოთ თანამედროვე ცხოვრების მსვლელობას, თანამედროვე სიტყვა-კაზმულ ლიტერატურას. თანამედროვე ხელოვნება ჩვენთვის უცნობი და უხილავი რამ არის. მეცნიერებას ხომ თავი უნდა დავანებოთ...“ ერთის სიტყვით—ოდესელი ქართველი სტუდენტი „სიბარიტია“, რომელიც თავის ცხვირს იქით ვერაფერსა ჰხედავს და არც ჰსურს ჰხედავდეს.

რა გიპასუხოთ ამაზე, ბ-ნო ოდესელო სტუდენტო? დაგიგროვებიათ ორ-სართულიანი სიტყვები, გაგაქვთ და გამოგაქვთ რაღაზედაც აჩემებული ოდესელი სტუდენტი! იმგვარ მოლიპულ ნიადაგზე აგიშენებიათ თქვენი ფილიპიკა, რომ არც კი იცის კაცმა, როგორ მოიკიდოს ფეხი საპასუხოდ. რაღაც ჟანის კილოთი ლაპარაკობთ: ეს არ არის, ის არ არის, არაფერი არ არის და ბოლოს აღარავინ რჩება, ვისაც სტუდენტი ეწოდებოდეს. ჩვენ რომ მოვყვეთ—არა, არიან ისეთნი, რომელნიც გაზეთსაც კითხულობენ, ცხოვრებასაც თვალ-ყურს ადევნებენ, მეცნიერებაც უყვართ და სხვა ამისთანას, ეს ხომ სიტყვით ბურთაობა გამოვა. უმჯობესია თქვენი ფილიპიკა თქვენსავე სიმართლის მოყვარეობაზე მივანდოთ. „დღეს ქართველი სტუდენტი, გვარწმუნებთ შემდეგ, სულაც არ სცდილობს კავშირი იქონიოს თავის მასწავლებელთან; ჩვენ იმათ ჰპირივით გაურბივართ და ნუ გაგიკვირდებათ მკითხველო, თუ თქვენ შვილს და ძმას [illegible] ნათესავს არც-კი უნახავს თავისი მასწავლებელი ეგზამენამდე... დღეს ვერც-კი იცნობს ქართველ სტუდენტს რუსი პროფესორი. თუ პროფესორთა შორის ჯერ კიდევ არიან ისეთნი, რომელნიც პატივსა სცემენ ქართველ სტუდენტებს, ეს ხდება მხოლოდ ტრადიციის ძალით“. სცდებით, ბ-ნო ოდესელო სტუდენტო! პროფესორები დიახაც იცნობენ ქართველ სტუდენტებს და არც ცუდის აზრისანი არიან იმათზედ. გაიხსენეთ თუნდაც სტუდენტების საზოგადო საღამო, პროფესორების ქცევა ქართველ სტუდენტების მიმართ; გაიხსენეთ ის სიტყვები რომლითაც იმათ მიმართეს ქართველ სტუდენტებს, ის სიტყვები, ვიმეორებ, რომელშიაც სავსებით გამოიხატებოდა გულ-წრფელი სიმპატია, კიდევ მეტიც: ღრმა რწმენა, რომ ქართველი სტუდენტობა სასურველ ელემენტს წარმოადგენს. გაიხსენეთ ყველა ეს და, დარწმუნებული ვართ, თვით თქვენ ეჭვის თვალით შეჰხედავთ საკუთარ სიტყვებს.

პატივისცემა ტრადიციის ძალით არისო, ბრძანებთ. კეთილი, მაგრამ საიდან გამოიჩეკა ეს ტრადიცია, თუ კი ამ ათის წლის განმავლობაში (იხილეთ თქვენი წერილის ბოლო) ოდესის უნივერსიტეტს არა ჰყოლია რიგიანი ქართველი სტუდენტი? იქნება სთქვათ, რომ ათის წლის წინად არის საძირკველი ჩაგდებულიო. მართალია, მაგრამ ნუ-თუ ამ ძველის სიკეთით ატყუებს ქართველი სტუდენტი უნივერსიტეტის პროფესორს? ეს რაღაც ჰკუაში მოსასვლელი არ არის. ამ

---

*) იხ. „ცნობის ფურცელი“ № 2172.

ქის გამგეობას, ის მოხსენება, რომელიც შეეხება ქალაქის საკლავ საქონლის დაზღვევას, გარდაეცეს განსახილველად ჯერ კომისიას. კომისიამ დადგინა, სთხოვოს დაჩქაროს ღორის ხორცის დუქანში საყინულეს გამართვა.

◆ ტფილისის მცხოვრებმა აბელიანოვმა მოისურვა ერევნის მოედანზე, თამამშევის ქარვასლის პირდაპირ, დროებით ხის სავაჭრო სახლი გაემართა. გუშინ გუბერნატორმა განუმარტა ქალაქის გამგეობას, რომ საამშენებლო კანონის მე-45 მუხლის ძალით, ქალაქის გამგეობას ქუჩებსა და მოედნებზე დროებით შენობების ასაგებად ნებართვის მიცემა შეუძლიან მაშინ, როცა ასეთ შენობებს სახლების აგების დროს მასალის შესანახად მართავენ. დანარჩენ შემთხვევაში არავითარი უფლება არა აქვს ქალაქის გამგეობას რაიმე შენობები ააგებინოს ვისმეს ქალაქის ქუჩებსა და მოედნებზედ. ამ განმარტების მიხედვით გუბერნატორმა აბელიანოვს არ დართო ნება ერევნის მოედანზე სახლის აგებისა.

◆ 17 ივლისს, დღის 12 საათზე, არსენალის ქუჩაზე ვერტყულაშვილის სახლის კიბეზე მეორე სართულში ადიოდა ტფილისის მცხოვრები ივანე პეტროვი, რომელსაც ფეხი წასცურებია, გადმოვარდნილა სახლის ეზოში და ძლიერ დაშავებულა. დაშავებული მიხეილის სამკურნალოში გაჰგზავნეს.

◆ პუშკინის ქუჩაზე, კუკუჯანოვის სახლში მცხოვრებ შლიომ კლეიმანისათვის მოსამსახურეს იასონ ფილიშვილს მოუპარავს 180 მან. ღირებული ოქროს საათი და სადღაც მიმალულა.

◆ პოლიციის მე-9 ნაწილში, 16 ივლისს, დააპატიმრეს სპარსეთის ქვეშევრდომი გეოქჩაის მცხოვრები მამედ რადიხ-მამედ მოლლა სულეიმან-ოღლი, რომელსაც სადღაც 5 ფუთი და 10 გირვანქა ხიზილალა მოეპარა და მიჰქონდა.

რუსეთის ქრონიკა

◆ ქ. ეკატერინოსლავის მაღაზიების პატრონებს კრება მოუხდენიათ და დაუდგენიათ შემდეგი: „მაღაზიებში მოსამსახურე ნოქრები დღეს მეტად შევიწროებულნი არიან. დღეში 16—18 საათს მუშაობენ; განუწყვეტელი მუშაობა და თავისუფალი დროს უქონლობა სჩაგრავს მათ ფიზიკურადა და ზნეობრივად, ამის გამო ჩვენ, სავაჭროების პატრონები, შევთანხმდით სავაჭრო დროის შემოკლების შესახებ და დავადგინეთ: გავაღოთ მაღაზიები და საწყობები დილის 8 საათზე და დავკეტოთ საღამოს 5 საათზე. ეს ჩვენი დადგენილება ძალაში შედის ამ წლის 15 ივლისიდან“.

სასურველია ჩვენი ქვეყნის ვაჭრებმაც მიჰბაძონ ქ. ეკატერინოსლავის ვაჭრების კეთილ მაგალითს.

◆ ქ. ხერსონის ბულვარში ულანის პოლკის ოფიცერს გვარად სკალოვსკის ლაპარიკი მოსვლია სტუდენტ მერშავცევთან, რევოლვერი ამოუღია და დაუჰკრია სტუდენტი სახესა და ყურში. ჭრილობა სასიკვდილო არ არის. დამნაშავე ოფიცერი სამხედრო სასამართლოში მისცეს.

◆ ქ. კიევში ალექსანდროვის საავადმყოფოსთან ხალხს არეულობა მოუხდენია, რომელსაც კინაღამ სამწუხარო შედეგი არ მოჰყოლია. 4 ივლისს ერთ როსკიპ ქალს, გვარად პრიმაკოვს ქუჩაში ჩხუბი აუტეხნია თავის ამხანაგ ქალთან. პრიმაკოვის ქალი პოლიციაში წაუყვანიათ და იქ ცარიელ კარცერში დაუმწყვდევიათ. იქ საცოდავს კაბა გაუხდია, დაუხევია, ბაწარი გაუკეთებია და ჩამოუღრჩვია თავი. ქალის გვამი ალექსანდროვის საავადმყოფოში გაუგზავნიათ გასაჭრელად. ეს ამბავი რომ გაუგია ხალხს, საავადმყოფოსთან შეგროვილა და თხოულობდა ეჩვენებინათ მათთვის პრიმაკოვის გვამი. ხალხი ძალად შეცვივნულა საავადმყოფოში, მისდგომია დარაჯს და კლიტეს სთხოვდა იმ ოთახისას, სადაც გვამი ინახებოდა. დარაჯი, გვარად კალიუჟა, არ დათანხმდა და ძალზე იდგა. მაშინ ვილაცამ, გვარად ზავისტოვსკიმ, რომელიც ბრბოში ერია, ხელი სტაცა მაგიდაზე დადებულ სამკურნალო იარაღს, ლანცეტს, და ორჯელ დასჭრა დარაჯი კალიუჟა მუცელში. მალე პოლიცია მოვიდა და გაჰფანტა ხალხი.

◆ „პეტერბ. ვედომ.“-ის კორესპონდენტი საშინელ, თავზარდამცემ ამბავ ატყობინებს ამ გაზეთს. დონის ოლქის სოფ. შალაევკაში ყანაში მუშაობა რომ გათავებულა, მომუშავე ახალგაზდა ქალები, რიცხვით 33, დასაძინებლად წასულან მათთვის აშენებულ სახლში. ეს სოფლის ბიჭებს შეუტყვიათ და ალყა შემოურტყამთ ამ სახლისათვის; უყვიროდნენ ქალებს, დაგვნებდით, თორემ ძალად აგხდით ნამუსსაო. ამ დროს იქ ერთ ტყის მცველს გაუვლია. დამწყვდეულმა ქალებმა თურმე სთხოვეს გარედან დაეკეტნა სახლი. ტყის მცველმა აასრულა მათი თხოვნა. მას შემდეგ არ გასულა ნახევარი საათი და სახლს ცეცხლი გაუჩნდა. საბრალო ქალები დარჩნენ შიგ გამწარებულნი; მაგრამ დაკეტილ კარების გაღება ვერ მოახერხეს და ყველანი დამწვარან. ხალხი დროზე ვერ მიეშველა მათ და როცა მოვიდა, გვიან-და იყო. სახლის ნანგრევებში 33 დამწვარი ქალის გვამი აღმოაჩინეს. ეჭვი არის, რომ სოფლის ბიჭებმა წაუკიდეს ცეცხლი სახლს და ეს საშინელი ბარბაროსობა მოახდინეს.

◆ ამას წინად ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი იყო ამბავი ქ. ეკატერინოსლავის უმაღლეს სამთო სასწავლებელში კურსის გაფართოვების შესახებ. „პრავიტ. ვესტნიკ“ს ახლა დაწვრილებითი ცნობები მოჰყავს ამის შესახებ. სასწავლებელში კურს-დამთავრებულთ მიეცემათ იმ საგანში, რომელიც შეუსწავლიათ, ინჟენერის ხარისხი. იმ მოწაფეთ, რომელიც კარგად დაასრულებენ კურსს, გამოცდიან საბოლოოდ შემდეგ საგნებში: სამთო კანონმდებლობაში, ანგარიშის წარმოებასა და სამთო საქმეში. გამოცდილთ მიეცემათ დიპლომი შესწავლილ საგნის დაგვარად—მღვიმე-მადაროების ინჟენერისა და ინჟინერ-მეტალურგისა. დიპლომი იმათ უფლებას ანიჭებს დამოუკიდებლად განაგონ სამთო და საქარხნო საქმის სხვა და სხვა დარგი, ააგონ სხვა და სხვა სამთო-სამრეწველო და საქარხნო შენობები. დიპლომიან ინჟენერ-მეტალურგს და მღვიმე-მადაროების ინჟენერებს, რომელნიც ორის წლის განმავლობაში სამთო-სამრეწველო ტეხნიკურ სამსახურში იქნებიან, უფლება მიეცემათ პეტერბურგის უმაღლეს სამთო ინსტიტუტში ეგზამენი დაიჭირონ, ინსტიტუტის პროგრამით, სამთო ინჟენერის ხარისხის მისაღებად.

◆ რუსეთში ამ ბოლო დროს ძრიელ გახშირდა სახალხო წიგნების გამოცემანი. მარტო ერთი სიტინის ამხანაგობა ქ. მოსკოვში ყოველ წელს ბეჭდავს 1,200,000 ცალ სახალხო წიგნს. სახალხო გამოცემათა შორის ბევრი წიგნი მავნე შინაარსისაა, ზნეობრივად ხალხის გამრყვნელი. სარატოვის გუბერნიის და მაზრის ერობას განუზრახავს ამ გვარ ლიტერატურასთან ბრძოლა კარგის წიგნების გავრცელებით და წიგნთ-საცავთა დაარსებით. ყველაზე უფრო დიდ დაბრკოლებას ამ საქმის განხორციელებაში სამინისტროსაგან ნება-დართულ წიგნების კატალოგი წარმოადგენს. ძლიერ მცირე რიცხვია ნება-დართულ წიგნებისა გამოსულ წიგნებთან შედარებით. სხვათა შორის, ამ კატალოგში აღნიშნულია ძველი გამოცემანი, რომელთაც ახლა ვერსად ნახავთ მაღაზიებში. ცნობილ რუსეთის მწერლების, უსპენსკის, ნეკრასოვის, კოროლენკოს, კოსტომაროვის და სხვ. ნაწერები სრულებით არ არიან ნაჩვენები კატალოგში. ამის გამო სარატოვის გუბერნიის ერობამ შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე ნება-დართულ წიგნების კატალოგის გაფართოვების შესახებ.

◆ სამხრეთ რუსეთში გაჩენილან ერთგვარ ქალებით მოვაჭრენი, რომელნიც საზიზღარ ოინებს ხმარობენ გამოუცდელ ახალგაზდა ქალების შესაცდენად. ერთი ამგვარი ბნელეთის მოციქული, გვარად ალმანი, ქ. ოდესსაში მოქმედებდა. ახალგაზდა ქალს, ედა როზენშტეინს, დაუახლოვდა, თავი შეაყვარა და სთხოვა ცოლად წამომყევიო. ქალი სიხარულით დასთანხმებია, მშობლები კი წინააღმდეგნი ყოფილან. ალმანმა ჩააგონა ედა როზენშტეინს, მშობლებს გაექეციო და დავიწეროთ ჯვარიო. ქალი დათანხმებულა, საზღვარ-გარედ გაჰყოლია ალმანს, სადაც ამ ბოროტ-მოქმედს ერთ საროსკიპო სახლში გაუყიდნია თავისი საბრალო მსხვერპლი.

◆ ასტრახანის გაზეთი იუწყება, რომ ერთ ადგილობრივ დაწესებულებაში ქალებს აუკრძალეს ტელეფონის ხმარება: ბევრი ლაპარაკი გიყვართ და ტელეფონს რომ ჩაიგდებთ ხელში, აღარ მოშორდებით ხოლმეო. ქალებს ძალიან სწყენიათ ეს ახირებული განკარგულება, მაგრამ იძულებულნი იყვნენ, დაჰმორჩილებოდნენ ამას.

პრესსა

გაზ „რუსკ. ვედომ.“-ში საინტერესო წერილია მოთავსებული ბ-ნ კ—ისა საფრანგეთში გლეხთა მიწის მფლობელობის შესახებ. საფრანგეთში დიდი მამულები თან-და-თან კნინდება, ნაწილ-ნაწილად გადადის გლეხთა, მიწის მუშაკთა ხელში. ადგილ-მამულით შევიწროვებული გლეხი გულ-მოდგინედ, დაუღალავად სცდილობს მოიპოვოს რაიმე საშუალება მიწის საყიდლად. უპირველესი სახსარია მისთვის სამუშაოზე გამგზავრება ფულის შესაგროვებლად.

საფრანგეთის ყველა დეპარტამენტებში, ამბობს ბ-ნი კ—ი, სადაც სამუშაოდ გასული გლეხი ფულს შოულობს, გლეხები სცდილობენ რამე ნაირად დაიყოლიონ მემამულენი, მიწები გააყიდვინონ. ორ ფასს აძლევენ პატარ-პატარა ადგილებში. მაგალითად, კრიოზის, კანტალის და პიუ-დე-დომის დეპარტამენტებში, სადაც სხვა ადგილებთან შედარებით ნიადაგი მოუსავლიანი, უნაყოფოა, უფრო მეტი საძოვარი ადგილებია ვიდრე სახნავი და მეურნეობის სხვა დარგისათვის გამოსაყენებელი, გლეხ-კაცები მაინც მტკიცედ მიელტვიან თავის მიზანს, მოუსავლიან მიწებსაც იძენენ ნაწილ-ნაწილად. იქაურ მკვიდრთა მეხუთე ნაწილი ყოველ წელს მოდის პარიზში ფულის საშოვრად. უმეტესობა ხელოსნები, კალატოზები და დურგლები არიან. გულ-მოდგინე შრომით იძენენ და აგროვებენ ფულს და ზამთარში ისევ სამშობლოში ბრუნდებიან ადგილების შესაძენად. იმდენი მსურველია იქ მიწის ყიდვისა, რომ შედარებით უნაყოფო მიწების ფასმაც ძრიელ აიწია. ამგვარი მოვლენა საფრანგეთის სხვა ნაწილებშიაც არსებობს. სტატისტიკური ცნობები ნათლად ამტკიცებენ, თუ რამდენად გავრცელდა საფრანგეთში გლეხთაგან პატარ-პატარა ადგილების შეძენა. მაგალითად, 1898 წელში საფრანგეთის გლეხობას დაუხარჯავს ამ საქმისთვის 545 მილიონი ფრანკი. უმეტეს შემთხვევაში მიწის ყიდვის მსურველ გლეხებს დიდ შემწეობას აძლევს სესხი, კრედიტი.

საფრანგეთის მაგალითი ნათლად გვიჩვენებს, რა მტკიცე კავშირი აქვს გლეხს ცხოვრების წყარო—დედა-მიწასთან. შრომა შეიქმს სიყვარულს. საუკუნოებით აღზრდილია ეს სიყვარული და მტკიცე ნიადაგი შეჰქმნა გლეხთათვის ცხოვრებაში.

⁂

გვარ ტრადიციის ძალა მხოლოდ კრილოვის სახელოვან ბატებსა სწამდათ. არა, ალბად, ამ ათის წლის განმავლობაშიაც ყოფილან პატივის-ცემის ღირსნი და ეხლაც არიან. არიან, ვიმეორებთ, და უმეტესობა სტუდენტის სახელს შესაფერად ატარებს, თუ, რასაკვირველია, ვარსკვლავებამდის აფრენას არ მოვსთხოვთ.

თქვენ სიტყვას თუ დავუჯერებთ, ქართველი სტუდენტი სტუდენტთა საზოგადო საქმეშიაც კი ნაკლებ იღებს მონაწილეობას. „სტუდენტთა შორის იბადება ახალი საკითხები, ჩნდება ახალი საქმე, იმართება ორგანიზაციები—ქართველი სტუდენტი ჩამორჩენილია ყველა ამას.“ სიმართლეც ამ გვარი უნდა! ნეტავი ვიცოდეთ, თქვენ მართლა ოდესელი სტუდენტი ბრძანდებით? მაპატიეთ ამ გვარი ეჭვი, მაგრამ ყველა, ვინც-კი ოდესის სტუდენტობას და იმის საქმეთა ვითარებას იცნობს, თამამად იტყვის, რომ ჩვენი ეჭვი საკმაოდ საფუძვლიანია. ვერც პასუხს გეტყვით: თქვენ კარგად უნდა გესმოდეთ, რომ ამ გვარ კითხვებზედ საბაასოდ პრესაში ანბანის სიძვირეა შემჩნეული. თქვენ გაკვრით ლაპარაკობთ, თქვენთვის ეს საკმარისია, ჩვენ კი უნდა გიპასუხოთ, მაგრამ...

აი კიდევ: „დღეს სტუდენტთა (ალბად, ქართველთა—წინა სიტყვებიდან ასე სჩანს) შორის არ არის არც ერთი ჯგუფი, არც ერთი წრე, სადაც წევრებს შეეძლოთ თავისუფლად გაუზიარონ ერთმანეთს თავიანთი შთაბეჭდილებანი, აზრები, შეხედულება“. აქაცა სცდებით, ბ-ნო ოდესელო სტუდენტო. გახლავს წრე და კიდევაც შეგიძლიანთ თავისუფლად გაუზიაროთ თქვენი აზრი ამხანაგებს. შეიძლება ისინი ჰყოფენ უარს ქართველ წრეს, რომელნიც, თუ იმათი აზრი უმეტნაკლებოდ არ გავიდა, წამსვე წრეს თავს ანებებენ. მაგრამ ამგვარ ადამიანებისთვის ხომ მთელ დედამიწაზედ არ მოიპოვება წრე, ვინაიდან წრე-ამხანაგობა უპირველესად ყოვლისა თხოულობს აზრების შეთანხმებას შეზავებას და არა ერთის აზრის გაბატონებას. ან და შეიძლება ბ-ნო ოდესელო სტუდენტო, თავისუფლების შეზღუდვას ეძახით იმ მოვლენას, რომ ხანდახან აზრების შეტაკების დროს ყმაწვილები გამწვავდებიან და ერთმანეთს შეურაცხმყოფელ სიტყვებით მიჰმართავენ ხოლმე? აშკარაა, სასურველი არ არის ესა; მაგრამ განა ეს მარტო ჩვენა გვჭირს? თუ არა ვცდები, ამ გვარი ზნე მთელ კაცობრიობისა სჩვევია. თქვენ, რასაკვირველია, შეგეძლოთ ამგვარი ყოფა-ქცევა დაგეგმოთ, მაგრამ წრის უარყოფა კი სინამდვილეს მოკლებულია, მეტი რომ არა ვთქვათ.

ერთ ოდესელი სტუდენტი

II

ცოტა რამ შინაურულად.

ძმაო გაბრიელ!

როდესაც ამას წინად ბ-მა სიტყვამ ქართველ მოსწავლე ახალგაზრდობას წერილი უძღვნა, ვიფიქრე, რომ მაშინვე მწარე დაცინვით მოიწერებოდი: „ცნობის ფურცლის“ ესა და ეს ნომერი წაიკითხეო. მაგრამ ღმერთმა მიბრალა. ახლა კი, როდესაც ორი ქართულ-კახური „შოლტი“ კიდეც გადმოგვკრეს და ისიც ოდესელებს, (თუმცა, მე მგონია, ამ შოლტის წვერი სხვასაც მისწვდებოდა) ახლა ნამდვილად ვიცი, მომწერ ვითომ და შებრალების კილოთი: ეს რა ამბავიაო. ამიტომ წინდა-წინვე გაძლევ პასუხს.

რომ გითხრა ტყუილია მეთქი, იმ ქალივით დამემართება, რომელმაც დედა მოატყუა, ჩემი საქმრო მოდისო, და იმას კი ვერ მიჰხვდა, რომ თავისი თავი უფრო მოატყუა. ამიტომ აღარ მივკიბ-მოვკიბავ და პირდაპირ გეტყვი: „რაც მართალია—მართალია“. ეს კი უნდა გითხრა, რომ ზოგიერთებს ასეთი ბრალდება უსაფუძვლოდ მიაჩნიათ და ამბობენ: ყველა ხომ ასე არა ცხოვრობსო. მე მგონია, ამ უკანასკნელთა აზრი შემცდარია: როდესაც რომელსამე წრეს, ან საზოგადოებას ჰგმობენ, ყველამ იცის, რომ ამ წრესა ან საზოგადოებაში ისეთებიც მოიპოვებიან, რომელთაც ეს გმობა არ შეეხებათ, მაგრამ ამისი დამატება საჭირო არ არის, რადგან ისეც ცხადია. ერთის სიტყვით, თავს ნუღარ შეიწუხებენ ეს „ზოგიერთები“: „სანთელ-საკმელი გზას არ დაჰკარგავსო“, ნათქვამია.

მაგრამ გავანებოთ თავი ეხლანდელ სტუდენტებს და ორიოდე სიტყვა „ნასტუდენტრებზედაც“ ვთქვათ. ნათქვამია, „ქათამი წყალს დალევს და ღმერთს შეხედავსო“. მართალია, ნაკლი ბევრი გვაქვს, მაგრამ არც უწინდელნი იყვნენ უნაკლულონი. აი, ამ ნასტუდენტარების მცირე ნაკლი გამახსენა ამას წინად შენმა კარგმა ნაცნობმა სერგომ.

ქუჩაში შემხვდა. ძალზე ქშინავდა. როდესაც სული მოიბრუნა, მიამბო, დავდივარ დილით-საღამომდე და ძველ ნასტუდენტარებს დავეძებო. მე თვალები დავაჭყიტე, გამიკვირდა, რაში დასჭირდა ეს ძველი ნასტუდენტარები-მეთქი. თურმე, ნუ იტყვი, დადიოდა და სტუდენტობის ძველ ვალს ჰკრეფავდა. საოცრად გულ-ნატკენი იყო; ხომ იცი, სერგო გრძნობიერი კაცია და ცოტა რამ ეყოფა.

„გასაოცარი და გასაკვირველია!“—ამოიოხრა გულ-ნატკენმა სერგომ. ბევრი რამ გამიგონია წინანდელ სტუდენტებზე, გამიგონია იმათი გატაცება, გონებით მუშაობა, იდეალის თაყვანის ცემა და სხვა და სხვა. ასეთნი ყოფილან სტუდენტობის დროს, მაგრამ სულ სხვანი არიან ეხლა, ცხოვრებაში გამოსვლისა და დამკვიდრების შემდეგ. ცხოვრებას სულ ერთიან გადაუქცევია ეს მხნეობით სავსე ახალგაზდანი. უმრავლესობა საკუთარ ცხვირს იქით აღარაფერსა ჰხედავს. ფული, ფული და ფული“... და მოჰყვა სერგო თავისებურად.

რაღა თქმა უნდა, სერგო ძალიან აზვიადებს, მაგრამ საკმაო სიმართლე იმის სიტყვებშიაც არის. სხვას ყველაფერს თავი გავანებოთ და ავიღოთ თუნდა ეს ვალი სტუდენტებისა. რამდენია, რომ დღესაც არ გადაუხდია ეს ვალი, თუმცა, ღვთითა და შენის ლოცვა-კურთხევით, ესენი არამც თუ მოწყობილან, კარგადაც შესუქებულან. დღეს ასეთი ვალი მარტო ჩვენ უნივერსიტეტის ძველ ქართველ სტუდენტებზე 300 თუმნამდეა. აბა იანგარიშე, რამდენი ყმაწვილი მოიბრუნებდა სულს, ეს ფული რომ ჰქონდეს სტუდენტებს. რა თქმა უნდა, რომ გამოუდგე, ბევრ სხვა ცოდვასაც გამოვუძებნი ნასტუდენტარებს, მაგრამ ეხლა არა მცალიან და სხვა დროისთვის იყოს.

შენი მაჭალდა

„პრომიშლ. ი ზდოროვ.“-მ წერილი უძღვნა ქ. პეტერბურგის სტამბებში მომუშავეთა მდგომარეობას. მუშაობა იქ ისეთ სანიტარულ პირობებში სწარმოებს, რომ ჯანსაღი ასოთ-ამწყობი — იშვიათი მოვლენაა, უმრავლესობა დასნეულებულია. ყველაზე უფრო მათ შორის ჭლექი მძვინვარებს. პეტერბურგში ყოველ წელს $8^1/_3$ პროცენტი ასოთ-ამწყობი იხოცება ჭლექისაგან, სხვა ავადმყოფობისაგან კი 6 პროცენტი. საშუალო რიცხვით ყველაზე უფრო ახალგაზდა ასოთ-ამწყობებს იმსხვერპლებს ხოლმე ჭლექი, 30 წლის ახალგაზდებს. სხვა ხელობის კაცებთან შედარებით ჭლექისაგან სიკვდილის მიხედვით ასოთ-ამწყობთ მესამე ადგილი უჭირავთ. ას მკვდარზე მათ შორის ჭლექისაგან დახოცილნი 53 პროცენტს შეადგენენ, თერძები 50 პროც. გადამწერლები—50 პროც., ზეინკლები—47 პროც. და დურგლები — 45 პროც. ჭლექს გარდა ასოთ-ამწყობთა განსაკუთრებული სნეულება ტყვიით მოწამლვაა. სტამბებში მომუშავეთა ას კაცზე საშუალო რიცხვით ყოველ წელს 2 პროცენტი იწამლვის ტყვიით და ასოთ-ამწყობების ბევრი სხვა სნეულებანი ამ ტყვიით მოწამლვის შედეგია. თვალის სნეულებანიც ერთობ ხშირია ასოთ-ამწყობთა შორის, აგრეთვე ნერვების სნეულებანიც. ევროპაში საშუალო რიცხვით ასოთ-ამწყობნი 49 წლამდის ცოცხლობენ, პეტერბურგში კი ბევრად უფრო ნაკლებ ხანს.

თეატრი

ყვირილა. ექვსი ივლისიდან სცენის მოყვარეებმა დაიწყეს წარმოდგენების მართვა აქაურს საზაფხულო თეატრში, რომელიც ააშენა რამდენიმე კაცმა თავის ხარჯით. მეორეთ გამართეს ქართულ-რუსული წარმოდგენა. ვერ წარმოიდგენ, მკითხველო, რა ტანჯვითა და ვაი-ვაგლახით ასრულებდნენ როლებს უცოდინარობისა გამო მოთამაშენი როგორც რუსები, ისე ქართველები. დალოცვილებს, ჰგონიათ მარტო მანჭვა-გრეხასა, უალაგო ადგილზე სიცილსა და სცენაზე გამოჰიმვაზეა დამყარებული წარმოდგენების მართვა. როდესაც წარმოდგენები ხალხისათვის იმართება, უნდა ვეცადოთ, რომ ხალხმა ყალბი შეხედულება არ შეადგინოს თეატრზე. ავეთი წარმოდგენები კი (როგორც ორჯელ იყო) უსათუოდ ხალისს დაუკარგავს ხალხს და ყალბ შეხედულებასაც შეადგენინებს თეატრსა და წარმოდგენებზე. დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ გამგეებმა შემდეგს: ბავშვები წარა-მარა ადი-ჩადიან სცენაზე და იქით-აქეთ სწევენ ფარდას; ადგილები თავ-თავიანთი არ უჭირავთ თეატრში და წარმოდგენის დროს დიდი ხმაურობაა დარბაზში.

სავუდიელი.

—

თელავი. მკითხველს ეხსომება, რომ შარშან ზაფხულს ხშირ-ხშირად იმართებოდა თელავში წარმოდგენები. თითქმის ყოველ კვირა წარმოდგენები იყო დანიშნული როგორც სომხეთა თეატრში, ისე საზოგადო კლუბში. მათ შორის იმართებოდა ეგრედ წოდებული სახალხო წარმოდგენები, რომელმაც შეჰქმნა უდღეო „სახალხო სექცია“ მაგრამ... ამაზე შემდეგ იყოს. ხალხიც, ცოტათ თუ ბევრად, მიეჩვია და დაიარებოდა კიდეც. სადაც შარშან ასეთი წარმოდგენები იმართებოდა, ის თეატრი ქართველ სცენის მოყვარეთ ჰქონდათ აღებული 3 თვით. მერე სექტემბრიდან აღარც სცენის მოყვარენი იყვნენ საკმაო და წარმოდგენებიც შესწყდა ზაფხულამდე.

წელს დაბრუნდა შინ მოსწავლე ახალგაზრდობა, მათ შორის ბევრი სცენის მოყვარე, და იმედი ჰქონდათ, რომ კვლავინდებურად წარმოდგენების მართვას შეუდგებოდნენ, მაგრამ თეატრი უკვე გაქირავებული დახვდათ, ურომლისოდაც შეუძლებელია თელავში იაფ-ფასიან ან სახალხო წარმოდგენების მართვა, რადგან, როგორც გადმომცეს, კლუბში ამის ნებას არ მისცემენ. სცენის მოყვარენი გულს არ იტეხდნენ, როცა თეატრს შეაკეთებენ, ჩვენც ნებას მოგვცემენ წარმოდგენების მართვისას, მით უმეტეს, რომ თეატრი ისეა გაჩერებული. როგორც თვით სცენის მოყვარეთ გვიამბეს, დაჰპირებოდნენ კიდეც თეატრის დათმობას, რის გამოც რეპეტიციების მართვასაც შესდგომოდნენ, მაგრამ ისევ მალე გამოეცხადებინათ, თეატრის გაქირავება უაჯიმამუდოვოდ არ შეგვიძლიაო. აი, ნახევარი ზაფხული გავიდა და დასახელებული თეატრი ამის მიზეზით აქამდე დაკეტილი იყო, ხოლო ეხლა ბ-ნი აჯიმამუდოვი ჩამოვიდა და შეუდგა წარმოდგენების მართვას.

პირველად 13 ივლისს გაიმართა იაფ-ფასიანი წარმოდგენა. ბილეთი 10 კ.-დან 1 მანეთამდე ღირდა. წარმოადგინეს თითო მოქმედ. „თაიგული“ და „საყვარელი სტოლ ქვეშ“. მონაწილეობას იღებდნენ ქ-ნნი: გამყრელიძისა, ალიხანოვისა, სოლოღოვისა, იარალოვისა, ბ-ნი აჯიმამუდოვი და სხვანი. პირველმა პიესამ სუსტად ჩაიარა. უპირველეს ყოვლისა როლების უცოდინარობა უშლიდათ ხელს, ისე რომ სუფლიორის დახმარებას ძალიან მსაჭიროებდნენ. ჩვენ ქ. გამყრელიძის იმედი გვქონდა, მაგრამ მასაც შეუფერებელი როლი (ელენე) ჰქონდა და თამაშობას ელფერი ეკარგებოდა. სამაგიეროდ ქ-ნმა ყაზაროვისამ (მოახლე) კოხტად და ყოჩაღად შეასრულა, თუმცა იგი პირველად გამოვიდა სცენაზე. მეორე პიესამ „საყვარელი სტოლ ქვეშ“ უფრო კარგად ჩაიარა. კარგი იყო ბ. აჯიმამუდოვი ბალდასარ ვაჭრის როლში და საზოგადოებასაც ძლიერ მოეწონა იგი. ქ-ნმა შ. იარალოვისამ, როგორც ყოველთვის, ეხლაც თამამათ შეასრულა მაშიკოს როლი. დანარჩენთაც არა უჭირდათ რა.

შემდეგ მესამე პიესას „დატრიალდა ჯარა“-ს მოველოდით, მაგრამ იმის მაგიერ აიხადა ფარდა და გამოაცხადეს, რომ, სხვა-დასხვა მიზეზებისა გამო, ველარ მოხერხდა და „ტანცი“ გაიმართებაო. თუმცა აფიშაში დასაწყისი $8^1/_2$ ს. იყო გამოცხადებული, მაგრამ ათის ნახევარზე ძლივს დაიწყეს. ან რა ეჩქარებოდათ, ორი მოქმედება ვიდევ კარგ დროს გაათავეს. ამასთან უნდა მივაქციოთ გამგის ყურადღება გალერეას. უკანა სკამები ძალიან მჭიდროდ იყო დაწყრივებული, ფეხზე მდგომთ ხომ ძლიერ ცოტა ადგილი ჰქონდათ დათმობილი, ისე რომ წინა სკამებშუა გასავლელში იდგნენ და სხვებს ყურებას უშლიდნენ. სასურველია შემდეგში ყურადღება მიექცეს ამას და გალერეას მეტი ადგილი დაეთმოს. წარმოდგენას ხალხი ბლომად დაესწრო.

გან-იძე.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

17 ივლისი.

ბუხარესტი. ბუქრეშის ცაუ-დარბაზში მეფე კაროლმა ვოლოგდის პოლკის დეპუტაცია მიიღო. საგანგებო სადილის დროს მეფემ შემდეგი სადღეგრძელო წარმოსთქვა: „დიდის სიამოვნებით გეგებებით დეპუტაციას; ვუსურვებ პოლკს ბედნიერებას და ვსვამ იმპერატორ ნიკოლოზისა და იმის ქველ ჯარის სადღეგრძელოს.“

საროვი. საროვში ურიცხვი ხალხი შეიკრიბა; ხალხს პური ვერსად უყიდნია; არც მონასტერში, არც იმის ახლო-მახლო პური არსად იშოვება. წყაროსთან აუარებელი ხალხი დგას; სასწაული ყოველ დღე ხდება; სამის დღის წინ 12 წლის ყრუ ბავშვი განიკურნა; დაბადებითგანვე ბრმა სამის წლის ბავშს კოსტიას თვალი აეხილა; დივეევში მუნჯი ქალი ღვთის-მშობლის ხატს ემთხვია და ხალხში უცებ ალაპარაკდა დაიწყო. მრავალი სასწაული ხდება; ამ ამბავს მორიგი აფიცრები და ხალხიც ჰმოწმობენ. წყაროს ხალხმა ალყა შემოარტყა; ათ-ათს ერთად უშვებენ.—დიდი ჭყლეტაა. საშინელი სიცხეა, ავადმყოფნი და სახიჩარნი მოუთმენლად ელიან მორიგეობას, რადგან იციან, რომ აქ ყოველი სნეული განიკურნება. დღეს 35 წლის დედაკაცს დაკრუნჩხული ხელი მოურჩა; კაცი, რომელიც ცოცვით დადიოდა, გაიმართა და სიარული დაიწყო და უსინათლო ქალს თვალი აეხილა. ღამის მესამე საათზე დივეევიდან ლიტანიით გავიდნენ და საროვში 9 საათზე მივიდნენ. როცა სამხედრო ბანაკს წინ გაიარეს, მუზიკამ „კოლსლავენ“ დაუკრა. ლიტანიაში მრავალი ხალხი და 150 მონაზონი იღებდა მონაწილეობას.

სტამბოლი. ომერ-რუშდი-ფაშის კორპუსის 7 ბატალიონი პრიზრენში დარჩება, სამი—იპეკში და სამიც—დიაკოვოში; დანარჩენ ბატალიონს დაითხოვენ. იქნება რამდენიმე ბატალიონი მაკედონიაშიაც დასტოვონ, ვიდრე მეამბოხეთა რაზმები არ მოისპობა.

სოფია. ხილმი-ფაშა მაკედონიაში დაიარება და ყველგან მოხელეებს არიგებს, თუ როგორ უნდა აასრულონ რეფორმები. ადგილობრივი მოხელეები ძველ წესებს არა ჰღალატობენ და შიშით ვერც არავინ ჰბედავს ამაზე უჩივლოს. ხილმი-ფაშა დარწმუნდა, რომ რუსეთისა და ავსტრიის კონსულები მართალ ამბებს იუწყებოდნენ. უკანასკნელ ცნობებით, მაკედონიიდანა და ადრიანოპოლის ვილაიეტიდან 6,000 კაცი გაქცეულა; იმათი მდგომარეობა აუტანელია.

სტამბოლი. კიდევ ატუსაღებენ რეფორმის მოწინააღმდეგე ალბანელთ. იპეკში ცნობილი სარდალი ედიბ-აღა და იმისი 45 თანამოაზრე პრიზრენის ციხეში ჩასვეს. რამის-ეფენდი პრიზრენიდან მეორე აზიას გაჰგზავნეს. ბევრი ჟანდარმი და დარაჯი დაითხოვეს. 9 ქრისტიანი პოლიციელად დანიშნეს. დიაკოვოსა და პრიზრენში 9 სასამართლოს წევრად მართლ-მადიდებელი სერბები დანიშნეს.

კიევი. კიევის კომერციულ განათლების გამავრცელებელ საზოგადოების თავმჯდომარემ ხანენკომ 25,000 მანეთი შესწირა უბრალო მუშების საავადმყოფოთვის.

18 ივლისი

სოფია. გარეშე საქმეთა სამინისტრო ოფიციალურად იუწყება, რომ სულთანმა ბრძანა განთავისუფლონ ყველა ბოლგარელები, რომლებსაც ამბოხებაში მონაწილეობა ჰბრალდებოდათ, ხელახლად გახსნან სკოლები და ეკლესიები და ადრიანოპოლის ვილაიეტიდან გამოქცეულები სამშობლოში დააბრუნონ.

პორტა ჰფიქრობს შეადგინოს კომისია ერთი ოსმალოსაგან და ერთი ბოლგარელისაგან. კომისიას დაევალება ჰნახოს ხოლმე გამოქცეულები, მისცეს მათ რჩევა და უშველოს მათ დანგრეულ სახლების აღდგენით. მთავრობის წრეები კმაყოფილნი არიან პორტას ამ ახალ წინადადებით.

მინსკი. მიწათ-მოქმედების სამინისტრომ ნება დართო, რომ სამეურნეო საზოგადოების სექციის წევრებად ებრაელებიც იყვნენ.

პეტერბურგი. ხელმწიფე-იმპერატორი და ხელმწიფე-იმპერატრიცანი მარიამ თეოდორეს ასული და ალექსანდრა თეოდორეს ასული ავგუსტოეს შვილებითურთ 17-ს ივლისს საროვის უდაბნოში მობრძანდნენ.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზების მატარებლებისა

18 აპრილიდან

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს: 1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 9) ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 5 ს. 20 წ. (6 ს. 18 წ.), 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 51 წ. (7 ს. 49 წ.).

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო საშაბათოით, პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 3 ს. 26 წ. (4 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 34 წ. (11 ს. 32 წ.).

ყარსსა და ერივანს: 1) საფოსტო № 74/76 ღამის 11 ს. 32 წ. (12 ს. 30 წ.); 2) სამგზავრო № 90/91 შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.).

ბორჯომს 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.); 2) სამგზავრო № 9/10 დილის 5 ს, 23 წ. (6 ს. 21 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 23 წ. (10 ს. 21 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.).

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 მარტო ტფილისამდე, პარასკევობით, მოსკოვიდან მომავალი) ღამის 3 ს. 42 წ. (4 ს. 40 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 9 ს. 18 წ. (10 ს. 16 წ. 3). სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 1 ს. 08 წ. (2 ს [illegible] წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.) 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.); 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.); 3) დღის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

შორაპანისაკენ: დღის 2 ს. 10 წ. (3 ს. 8 წ.)

განცხადებანი

ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისაგან

მიმდინარე წლის ეკენისთვისათვის ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში სულ ორმოცდა-ექვსი (46) ვაკანსია არის პირველ განყოფილებაში (7 და 8 წლის ყმაწვილებისათვის), სხვა განყოფილებებში და გიმნაზიურ კლასებში არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის და ამიტომ არც თხოვნები მიიღება ამ კლასებში ყმაწვილების მისაღებად.

46 ვაკანსიიდან—45 დანიშნულია გარედან მოსიარულეებისათვის და 1 საზოგადოების სრულ ხარჯზე.

საზოგადოების სრულს ხარჯზე ჯერ არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის და შესაძლებელია სექტემბერში, ხელ-მეორე გამოცდის შემდეგ, გაიხსნას.

ვინც საზოგადოების სრულს ხარჯზე იქნება მიღებული, იმას არაფერი ხარჯი არ მოეთხოვება და ვინც ნახევარ ხარჯზე—უნდა იხადოს წელიწადში ათ-ათი თუმანი. ვისაც სურს მიღებული იქმნას საზოგადოების სრულს ხარჯზე, იმან უნდა წარმოადგინოს თხოვნასთან ერთად შემდეგი საბუთის ქაღალდები: ა) წლოვანობის მოწმობა, მიღებული სინოდალურ კანტორისაგან, ბ) სიღარიბის მოწმობა მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლისაგან და გ) ყვავილის აცრის და ჯანმრთელობის მოწმობა.

ვისაც გარედან მოსიარულედ სურს შემოსვლა, იმისთვის საჭიროა იგივე საბუთის ქაღალდები, გარდა შეუძლებლობის მოწმობისა.

უკეთუ მთხოვნელთა რიცხვი აღემატება ვაკანსიების რიცხვს, იმ შემთხვევაში მსურველთ ადგილი დაეთმობათ წილის ყრით. წილის ყრაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ისინი, რომელნიც წარმოადგენენ საჭირო საბუთის ქაღალდებს და ამასთანავე ეგზამენსაც დაიჭერენ წლოვანობის შესაფერ კლასისათვის.

სკოლის გამგე კომიტეტი არ მიიღებს იმ ყმაწვილებს, რომელნიც არ წარმოადგენენ მათზე დარჩენილს წინა წლის ფულს და მომავალ სამოსწავლო წლის პირველ ნახევარის სწავლა-აღზრდის ფასსაც.

შესაძლებელია სექტემბერში, მოსწავლეების ხელმეორე გამოცდის შემდეგ, კიდევ გაიხსნას რამდენიმე ვაკანსია იმათთვის, ვინც სრულს საკუთარ ხარჯზე ისურვებს პანსიონში შემოსვლას, ან ნახევარ ხარჯზე.

ვინც საკუთარ ხარჯზე შემოვა პანსიონში, იმან უნდა შემოიტანოს წელიწადში ოცი თუმანი: ათი თუმანი შემოსვლისათანავე და ათიც იანვარში.

ვისაც თხოვნა აქვს შემოტანილი პირველ განყოფილებაში ყმაწვილების მიღებისა,—იმათ 31 აგვისტოსათვის უთუოდ უნდა მოიყვანონ სკოლაში ყმაწვილები ჯანმრთელობის შესამოწმებლად და ქართულ ლაპარაკში გამოსაცდელად.

თხოვნა უნდა შემოვიდეს აგვისტოს 20-მდის; ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თხოვნა უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Въ Тифлисъ. Завѣдывающему Дворянской Школой, на Лабораторной улицѣ.

აგვისტოს 25—30 რიცხვებში ხელ-მეორე გამოცდა მოხდება ზოგიერთ მოსწავლეებისა. 1-ს სექტემბერს სწავლა დაიწყება.

დათხოვნილ იქნებიან აგრეთვე ის გარედან მოსიარულე მოწაფეებიც, რომელნიც სკოლაში მოსვლისათანავე არ წარმოადგენენ მომავალ 1903—1904 სამოსწავლო წლის ფულის ნახევარს.

ყველა პანსიონერის მშობლებმა უნდა წარმოადგინონ თავმდებნი ტფილისში მცხოვრებთაგანი, რომელთაც სკოლის გამგეობას შეეძლოს მიმართოს, როგორც ფულის თავ-თავის დროზედ შემოტანისათვის, აგრეთვე სხვა შემთხვევაშიაც. (10—8)

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლ. ხასის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგსკის მფარველობის ქვეშ. სამკურნალოში 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, ხირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებს სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს. (0—152)

Дозв. ценз. Тифлисъ, 18 Іюля, 1908 г. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва)